

არანაირი ბერკეტი არ გვაქვს, რომ რამენაირად შევაფერხოთ ან ჩავშადოთ „როსნეფტთან“ დაკავშირებული ტრანზაქცია – კარაძე

“როსნეფტთან” დაკავშირებული ტრანზაქციების ჩასაშლელად არანაირი ბერკეტი არ გავაჩნია. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ვახა კარაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. შეკითხვა რუსური ენერჯოკომპანია „როსნეფტის“ მიერ ქართული კომპანია „პეტროკას ენერჯის“ აქციების 49 პროცენტის ყიდვას უკავშირდებოდა.

„რაც შეეხება „გარფს“, ყვედასთვის ცნობილია, რომ ის ასოცირდებოდა კვებრაშვიდთან, რომელიც სააკაშვილის პირადი ბიზნესმენი იყო და მის პირად აქტივებს მართავდა. დავით იაკობაშვილი ამ კომპანიის მხოლოდ ფიქტიური წარმომადგენელი იყო, რომლის მეშვეობითაც, როგორც ცნობილი გახდა, ტერმინარისა და ბენზინგასამართი სადგურების წიდობრივი გასხვისება მოხდა. არანაირი ბერკეტი არ გვაქვს, რომ რამენაირად შევაფერხოთ ან ჩავშადოთ ეს ტრანზაქცია, რადგან ამის განხორციელება ოფშორულ ზონაში მოხდა“, – განაცხადა ვახა კარაძემ.

რუსური ნავთობგიგანტი ქართულ ბაზარზე შემოდის

რუსური ნავთობგიგანტი „როსნეფტი“ Petrocas Energy Group–ის 49%–ს ყიდულობს.

ამის შესახებ ინფორმაციას „ინტეფაქსი“ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

Petrocas Energy Group დაკავებულია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ვაჭრობით და გადაზიდვით. ფლობს ავტოგასამართი სადგურების ქსელს საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში და ფოთის პორტის ორ ნავთობტერმინალს .

“როსნეფტის” ინტერესის ძირითად საგანს სწორედ ფოთის პორტი წარმოადგენს, როგორც სომხეთის სანავიგო უზრუნველყოფის საშუალებაა .

რუსული ნავთობკომპანიის მიერ ფოთის ტერმინალით დაინტერესების შესახებ ინფორმაცია მიმდინარე წლის მარტში გავრცელდა.

“როსნეფტის” ინფორმაციით, კომპანიამ უკვე მოაწერა ხელი დოკუმენტებს, რომლის თანახმადაც, ასევე იგეგმება ერთობრივი კომპანიების შექმნა ამიერკავკასიაში “როსნეფტის” პროექტების რეალიზაციის მიზნით.

“ამ გარიგებით “როსნეფტი” საგრძნობლად გააფართოებს საკუთარ არსებობას ამიერკავკასიაში, გაზრდის საქმიანობის გეოგრაფიას”, – ნათქვამია “როსნეფტის” განცხადებაში.

“როსნეფტის” ოფიციალურ ვებგვერდის მიხედვით, დავით იაკობაშვილი განაცხადა, რომ ეს გარიგება “პეტროკასის” წარმატების კიდევ ერთი დასტურია.

კომპანია RMG – ს უნდა გავუგრძელოთ ნებართვის ვადა, რათა გააგრძელოს მუშაობა – დარიბაშვილი

მთავრობა კომპანია RMG-ისთვის საყდრისში სამუშაოების გაგრძელების თაობაზე ნებართვის გაგრძელებას მხარს უჭერს. ამის შესახებ

პრემიერმა ირაკლი რაჩიბაშვილმა დღეს მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ბოღნისში ყოვერი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით არქეოლოგიურ ობიექტს. შესაბამისად, გამოდის ისე, რომ იქ არაფრის გაკეთების საშუალება არ უნდა ჰქონდეს არც სახელმწიფოს, არც კერძო კომპანიას და არც არავის. მინდა, მოსახლეობისთვის კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ ჩვენ ერთ მხარეს გვქონდა წიგნების განმავლობაში აბსოლუტურად მიტოვებული არქეოლოგიური ობიექტი, სადაც აღმოჩენილ იქნა რამდენიმე არტეფაქტი, მეორე მხარეს კი იდგა 3 ათასი ოჯახი და რაიონის შენახვა. მოგეხსენებათ, რომ ეს კომპანია მთლიანად ინახავს ბოღნისს. მინდა, მთავრობის სახელით დავადასტურო, რომ ჩვენ უნდა გავუგრძელოთ ნებართვის ვადა და მივცეთ კომპანიას საშუალება, გააგრძელოს მუშაობა, რათა 3 ათასი ოჯახი არ დარჩეს სამსახურის გარეშე და ბოღნისის რაიონი არ აღმოჩნდეს რთულ პირობებში. ეს არის ჩვენი საერთო პოზიცია – ჩვენ გვქონდა ამასთან დაკავშირებით საუბარი ეკონომიკურ გუნდთან. ჩემი ინფორმაციით, კომპანია RMG აპირებს ააშენოს ბოღნისში თანამედროვე მუზეუმი, სადაც ყველა არტეფაქტი განთავსდება. ეს იქნება ძალიან კარგი ტურისტული და კულტური თვალსაზრისით ბოღნისის რაიონისთვის”, – განაცხადა პრემიერმა.

ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა – ხადური

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გადაჭარბებით შესრულდა, რაც კარგი დასაწყისია მომავალი წლის ბიუჯეტისთვის, – ამის შესახებ დღეს მთავრობის სხდომაზე აღინიშნა.

ნოდარ ხადურის განცხადებით, დიდის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში, შესრულება შეადგენდა 100,3 %-ს. „გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს მონაცემები კიდევ უფრო გაიზარდა და ხვად დღის განმავლობაში ვეროდებით დაახლოებით 40-45 მილიონ დარს.

შემოსულობების თვადსაზრისით, ბიუჯეტი გადაჭარბებულია. გადასახადები მოზიდვიბებულია, დღევანდელი მდგომარეობით, ეს არის 6 მილიარდ 840 მილიონი დარი, რაც 20 მილიონი დართით მეტია უკვე. გარდა ამისა, 98%-ზე მაღალი იქნება ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება და ძირითადად ეს თანხა არის ეკონომიებიდან წარმოქმნილი, მათ შორის ტენდერებიდან წარმოქმნილი. ანუ, 2 პროცენტის ათვისება ვერ მოხდა, რაც, ძირითადად, არის ეკონომიებით გამოწვეული. მაგალითად, მთავრობის სარეზერვო ფონდში დღესაც დაბრუნდება თანხა იმის გამო, რომ ეკონომია იყო იმ კონკრეტული ხარჯის თვადსაზრისით,” – აღნიშნა ნოდარ ხაღურმა.

საყოველთაო დაზღვევა ჯანდაცვის სამინისტროს ყველაზე წარმატებულ პროექტად დასახედდა

ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, „ექსპოზორჯიაში“ 2014 წლის შემაჯამებელი შეხვედრა გამართა და სამინისტროს რეფორმებზე ისაუბრა. მისი თქმით, უწყების მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის განსაკუთრებით წარმატებული იყო საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტებისთვის შემუშავებული პროგრამა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე გაკეთებული სწორი აქცენტები, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ხერმისაწვდომი სამედიცინო დახმარება სოფლებში.

“ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამებს შორის ერთ-ერთი მთავარი იყო საყოველთაო დაზღვევის პროგრამა. ეს იყო ყველაზე მაშტაბური, რადგან მან მოიცვა საქართველოს მოსახლეობის ნახევარი. ამ ადამიანების უმეტესობა მანამდე ვერ სარგებლობდა დაზღვევით. ბიუჯეტის მხრივაც ეს ერთ-ერთი უმსხვირესი პროექტი იყო”, – განაცხადა სერგეენკომ.

წლის შემაჯამებელ შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის ჯანდაცვის

კომიტეტის თავჯდომარე დიმიტრი ხუნდაძეც. მან განაცხადა, რომ ღღეს ჯანდაცვის სფეროში მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს იყო ორი წლის წინ.

“ქურიაში ადამიანები აღარ იღუპებიან. თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე კი პასუხისმგებლობა აიღო სახელმწიფომ. სოციალური პროგრამების ხარჯზე ამ კუთხით მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს იყო ორი წლის წინ, თუმცა სამუშაო ახდაც ძაღიან ბევრია”, – განაცხადა ხუნდაძემ.

შეხვედრას დაესწრნენ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები და სხვადასხვა კვინიკის ექიმები.

კაცებმა ხერი ისე ვერ მოიქნიეს, რომ კაკო ბობოხიძეს ერთი მუშტი ცხვირში მოხვედროდა – ნინო ბურჯანაძე

“გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის” დიდერი ნინო ბურჯანაძე ვადამდერი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აუცილებლად მიიჩნევს.

ამის შესახებ ბურჯანაძემ ღღეს სასტუმრო ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბურჯანაძის თქმით, ამის საჭიროება რამდენიმე დღის წინაც გამოჩნდა, როცა დეპუტატები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

“ხერისუფლების უუნარობას რომ ვუყურებ, კიდევ არ ვარ დარწმუნებული, ქვეყანაში ტერორის არარსებობა იმის დამსახურებაა, რომ მართლა არ უნდათ, თუ იმის, რომ ამის თავიც არ აქვთ. რასაც მე პარლამენტში ვუყურებ, კაცებმა ხერი ვერ მოიქნიეს ისე, რომ ერთი მუშტი ცხვირში მოხვედროდა კაკო ბობოხიძეს, როგორც ჩანს, რომც უნდოდეთ კიდევაც, ტერორის განხორციელების თავიც არ აქვთ”, –

განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გია ხუხაშვიდი პოლიტიკაში ივანიშვიდის დაბრუნებას არ გამორიცხავს

ექსპერტი გია ხუხაშვიდი ბიძინა ივანიშვიდის პოლიტიკაში დაბრუნებას არ გამორიცხავს.

მისი შეფასებით, რადგან ხედისუფლება ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებს სათანადოდ ვერ პასუხობს სამთავრობო კრიზისი გარდაუვალია .

„სამთავრობო კრიზისი არის ყველაზე დაბალი დონის კრიზისი, რაც შეიძლება ამ ქვეყანაში განვითარდეს და ვფიქრობ, ის გარდაუვალია. დადგება მთავრობის ნდობის საკითხი. თუ მეტ-ნაკლებად სოციალური რისკები იქნა შერბილებული, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ივანიშვიდს დარჩეს კომფორტი, რომ ის არ დაბრუნდეს პოლიტიკაში. თუმცა მე უფრო ნეგატიურ პროგნოზს გავაკეთებდი. კრიზისი შეიძლება იმდენად სერიოზულად განვითარდეს, რომ მას მოუწიოს თავისი სიტყვის შესრულება. მან თქვა, რომ თუ საჭირო გახდა პოლიტიკაში დავბრუნდებით. მის გარეშე კოალიცია არაფერს წარმოადგენს“, – ამბობს ხუხაშვიდი.

რა საკითხები განიხილეს

სახელისუფლებო

წარმომადგენლებმა ბიძინა

ივანიშვილთან დახურულ

შეხვედრაზე?

რესტორან „ბაგრატიონში“ წუხედ, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილისა და მმართველი კოალიციის წევრების დახურული შეხვედრა გაიმართა.

“რუსთავი-2“-ის ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ მინისტრები, დეპუტატები, ხელგანები, პარლამენტის სპიკერი და თბილისის მერი.

შეხვედრის ინიციატორი ყოფილი პრემიერი იყო.

“ქართული ხმების“ სოლისტის, გია ჭირაქაძის განცხადებით, შეხვედრაზე გასული წერილი შეაჯამეს და კოალიციის სამომავლო გეგმებიც განიხილეს.

„ძალიან მეგობრული საახადწლო შეხვედრა იყო. ვინც აქ ვისხედით, ერთად შემთხვევით არ ვყოფილვართ, დიდი ხანია ვმეგობრობთ. მოფერებასთან ერთად, კრიტიკა და შეცდომებზე საუბარიც იყო“, - აღნიშნა გია ჭირაქაძემ.

ისეთი თდიობური ფიგურა,

როგორც ადგიშვიდია უკრაინის

ნათედ მომავადს ვერ შექმნის

იუსტიციის მინისტრ თეა წუღუკიანის განცხადებით, უკრაინაში, წინა ხელისუფლების იუსტიციის მინისტრის ბურაბ ადგიშვილის ერთ-ერთ ხელმძღვანედ თანამდებობაზე დანიშვნა, უკრაინის მომავადს

უკეთესობისკენ ვერ შეცვრის.

ამის შესახებ მინისტრმა, სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„გუდნორფერად გეტყვით, არ მგონია, რომ ასეთი ოდიოზური ფიგურები, როგორც არის მაგარიტად ბურაბ ადვიშვილი, უკრაინის ნათედ მომავალს შექმნის. დანარჩენი, რა თქმა უნდა, უკრაინელი ხარხისა და უკრაინური სახელმწიფოს სუვერენური გადაწყვეტილებაა“, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრის ბურაბ ადვიშვილის კანდიდატურა, უკრაინის ხელისუფლებაში ანტიკორუფციური საბჭოს ხელმძღვანელის პოსტზე განიხილება.

„ნაციონალურ მოძრაობას“ ახალი პოლიტიკური მდივანი ჰყავს

“ნაციონალური მოძრაობას” ახალი პოლიტიკური მდივანი ჰყავს. პოლიტსაბჭოს სხდომაზე პარტიის ახალ მდივნად სერგო რატიანი დაასახელებს.

მას შემდეგ, რაც ბურაბ ჯაფარიძე პარტიის აღმასრულებელ მდივნად დაინიშნა, პოლიტიკური მდივნის ვაკანტური ადგილი სერგო რატიანმა დაიკავა.
